

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

**მრჩეველთა საბჭოს განცხადება**

2015 წლის 8 აპრილს არ უმაღლესი საბჭოს წევრის მედია ვასაძის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა აჭარის ტელევიზიის ეთერით დაანონსებული "სპეციალური რეპორტაჟის" გათვალისწინებული პროგრამული ბადიდან ამოღებას, შევნიშნავთ:

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭო მიიჩნევს, რომ ტელევიზიის მენეჯმენტი ვალდებული იყო გადაცემის მომზადებისა და ეთერში გასვლის პროცესის მიმართ, უფრო მეტი პასუხისმგებლობა გამოეჩინა. მით უფრო, როცა გადაცემის თემატიკა და ზოგადად საგამომიებო ჟურნალისტიკის ბუნება განსაკუთრებულად მგრძნობიარეა და იწვევს საზოგადოების დიდ ინტერესს. შესაბამისად, მენეჯმენტი ვალდებულია თავისი საქმიანობით, ტელევიზიის დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმისადმი არ აჩენდეს ეჭვებსა და კითხვებს. ვალდებულია, იყოს მეტად პრინციპული და გაუფრთხილდეს ტელევიზიისა და რადიოს იმიჯს.

მრჩეველთა საბჭო კანონმდებლობის და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, თავისი პრიორიტეტით განსაზღვრავს ჟურნალისტური გამოძიების აუცილებლობას. ამის შესახებ, განვლილი დროის განმავლობაში საბჭომ რეკომენდაციით რამდენჯერმე მიმართა მენეჯმენტს, რაც აღწერა კიდეც 2014 წლის მრჩეველთა საბჭოს ანგარიშში.

მრჩეველთა საბჭო თავის საბოლოო შეფასებასა და გადაწყვეტილებებში გაითვალისწინებს მენეჯმენტის შემდგომ ნაბიჯებს ეჭვისა და კითხვის ნიშნების აღმოსაფხვრელად. მოუწოდებს, ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელებს იყოს მეტად პრინციპული, დაიცვას პროფესიული სტანდარტები და საზოგადოებრივი მაუწყებლის ავტორიტეტი.